ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:**ბ114. 1142516711**

თარიღი:**16/06/2025**

ქალაქ ქობულეთში, მესხიძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-IX თავის შესაბამისად;

ვბრძანებ:

1. შპს „შატო კვირიკე“-ს (ს.ნ. 246951259) 2025 წლის 21 მაისის N10/11425141211-114 განცხადების საფუძველზე ქალაქ ქობულეთში, მესხიძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 20.42.21.131) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. ბრძანების მომზადებისა და გამოცემისას გამოყენებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი წესები.

3. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია - ინიციატორი ვალდებულია მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია შესაბამისი გეგმის პროექტის შესახებ და დაინტერესებულ პირებს მისცეს შესაძლებლობა წარმოადგინონ მოსაზრებები/შენიშვნები;

4. განაშენიანების დეტალურ გეგმასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების თოთოეულ სტადიაზე გეგმარებით ერთეულში, საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას (საჯარო გზის მხარეს) დამატებით უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა, რომელზედაც, სულ მცირე, უნდა განთავსდეს ინფორმაცია დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრების, დაინტერესებული პირებისაგან მოსაზრებებისა და შეფასებების მიღების პერიოდისა და გეგმის დამტკიცების სავარაუდო ვადების შესახებ.

5. განაშენიანების დეტალური გეგმასთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართოს 2025 წლის 27 ივნისს 11 სთ-ზე.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ცეცხლაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი